



საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

(2022 წლის მარტი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2022 წლის მარტის თვეში.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ბრძანება №01

2022 წლის 01 მარტს დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის დებულება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სამსახურის სტატუსი და საქმიანობის პრინციპები, სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ა.შ.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 080240000.78.091.016001

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდა 2022 წლის პირველი მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანება №1-1/2

2022 წლის 2 მარტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის ბრძანებით დამტკიცდა „სასარგებლო წიაღისეულით



სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 380050000.76.089.016004

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №611-№1013

2022 წლის 2 მარტს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშოების ნებართვის მფლობელ პირთა მიერ სანებართვო პირობების შესრულების შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2011 წლის 14 დეკემბრის №611-№1013 ერთობლივ ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით განისაზღვრა ბრძანების რეგულირების სფერო, შემოწმებაზე უფლებამოსილი პირები, შემოსავლების სამსახურის მიერ აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთან შემოწმების განხორციელების პროცედურა და ა.შ.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 190040000.22.033.017560

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №04

2022 წლის 02 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016004

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №100/წ

2022 წლის 07 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 17 დეკემბრის №100/წ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომელი ეხება საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული სავალდებულო საგნებს.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 430210000.22.022.018145

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №69

2022 წლის 15 მარტს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 18 მარტის №69 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრის წარმოება; ნორმატიული აქტები, კანონმდებლობით სავალდებულო წესით გამოსაქვეყნებელი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სხვა დოკუმენტები და ინფორმაცია, აგრეთვე ნორმატიული აქტების ოფიციალური თარგმანების ოფიციალურ გამოქვეყნება მაცნეს ვებგვერდზე.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017304

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996



2022 წლის 15 მარტს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა რიგი ცვლილებები, რომელიც ეხება საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირის და მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირის შემოსავლების სამსახურში წარსადგენი დოკუმენტების ნუსხის საგადასახადო აღრიცხვას.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017564

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №07

2022 წლის 16 მარტს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანებით დამტკიცდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“ (დანართი №2).

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 010100000.78.091.016007

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №ნ-9

2022 წლის 16 მარტს „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილება და ბრძანების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცდა „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი“.



ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 260030000.64.076.016106

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ

2022 წლის 21 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით განისაზღვრა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 430050000.22.022.018149

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №33/04

2022 წლის 31 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცდა საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიერ სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელ კომპანიებთან ოპერაციების შეზღუდვის წესი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 220010000.18.011.016615

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.



საქართველოს მთავრობის დადგენილება №368

2022 წლის 29 მარტს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შეტანილ იქნეს ცვლილება „პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ივნისის №368 დადგენილებით დამტკიცდა „პირბადის ტარების წესი“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023363

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 28 მარტიდან

საქართველოს მთავრობის დადგენილება №160

2022 წლის 29 მარტს დამტკიცდა „ლატარიის მოწყობისთვის დადგენილი სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დაანგარიშებისა და გადახდის წესი“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 210020000.10.003.023371

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს მთავრობის დადგენილება №322

2022 წლის 29 მარტს „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge> სარეგისტრაციო კოდით: 470230000.10.003.023362

დადგენილება ამოქმედდა 2022 წლის 28 მარტიდან.